MES 5 22 0000632997

13/06/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:
დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

კოორდინატორი;
მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
დავით მღებრიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
შპს სკოლა-ნიკე
მაია ტაკიძე - სკოლის წარმომადგენელი

შპს ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია
ბესიკ ნიპარიშვილი - სკოლის დირექტორი
ნინო ნიპარიშვილი - სკოლის წარმომადგენელი
რუსუდან ნიპარიშვილი - სკოლის წარმომადგენელი
მაია ბერიანიძე - სკოლის წარმომადგენელი

შპს ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი
დარეჯან ქადაგიძე - სკოლის დირექტორი
ნინო ქადაგიძე - სკოლის დირექტორი

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სი
მარინე დეკანოიძე - სკოლის წარმომადგენელი
ირმა ავალიშვილი - სკოლის აკადემიური დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
შპს სკოლა-ნიკე
ლელა ფიცხელაური
ეკატერინე ვეკუა

შპს ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზია
ლელა ჯაში
იზაბელა იოსელიანი

შპს ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი
ლელა ფიცხელაური
ნინო გვარამაძე

შპს საქართველოს სასწავლო ცენტრი ჯი-ელ-სი
მაკა ტუკვაძე
გულნარა ხაბურზანია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს

თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 30 მაისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს სკოლა-ნიკეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სი-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს სკოლა-ნიკეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და ეკატერინე ვეკუამ. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ ვიზიტი სკოლა ნიკეში განხორციელდა მიმდინარე წლის 11 და 12 აპრილს. სკოლის საუკეთესო პრაქტიკად ექსპერტმა დაასახელა მოსწავლეების ხელოვნებისადმი განსაკუთრებული ინტერესის გაღვივება და ხელშეწყობა. აღნიშნულის მისაღწევად, ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში იყო სპეციალურად აღჭურვილი სახელოსნო, ფუნქციონირებდა ხატვისა და დიზაინის წრეები,

ეწყობოდა ნამუშევრების გამოფენა. არჩევითი საგნებიდან სკოლაში ისწავლებოდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, ხელოვნების ისტორია და კინოხელოვნება. ლელა ფიცხელაურის განმარტებით, სკოლაში გაძლიერებულად ისწავლებოდა ინგლისური ენა და სკოლას მოპოვებული ჰქონდა Cambridge School of English-ვერცხლის პარტნიორობა. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლას წინა ავტორიზაციის ფარგლებში მიღებული ჰქონდა რეკომენდაცია სახანძრო წესთან დაკავშირებით, რაც, ექსპერტის თქმით, აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში სკოლას დაკმაყოფილებული ჰქონდა.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში სკოლას არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ დაუფიქსირდა ხარვეზი, თუმცა, მისი თქმით, სკოლამ მიიღო რამდენიმე რეკომენდაცია, სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით. ერთ-ერთი რეკომენდაცია გაიცა სამედიცინო სივრცესთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, სკოლის მეორე სართულზე 10.5 $მ^2$ - ში მდებარეობდა ექიმის კაბინეტი, რომელშიც იყო მცირე გასასინჯი სივრცე, რის გამოც ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ სკოლა გაცნობოდა კანონმდებლობას სამედიცინო სივრცის მოწყობის შესახებ და კანონმდებლობაზე დაყრდნობით მოეწყოთ აღნიშნული სივრცე.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, ასევე, განმარტა, რომ სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის შინაგანაწესში დეტალურად გაეწერა წახალისების ფორმის თითოეული ინდიკატორი, ასევე დაეგეგმა ის აქტივობები, რომლებიც განაპირობებდნენ მშობლების უფრო მეტ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. სკოლას ექსპერტების მხრიდან, ასევე, მიეცა რჩევა შესაბამისობაში მოეყვანა eschool - ის ბაზა და მასწავლებლების სტატუსები.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ სკოლაში სწავლობდა 368 მოსწავლე, ხოლო საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა 45 პედაგოგი. სკოლა მოსწავლეების ზღვრულ რაოდენობად ასახელებდა 460 მოსწავლეს. ექსპერტებმა დაადასტურეს აღნიშნული რაოდენობის მოსწავლეებისათვის სკოლის მზაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს განემარტათ, თუ რატომ მიიჩნეოდა ხელოვნების მიმართულება სკოლის ძლიერ მხარედ და რა განაპირობებდა სკოლის ინტერესს მის მიმართ. დასმული კითხვის საპასუხოდ ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ სკოლაში ხორციელდებოდა სხვადასხვა პროექტი ხელოვნების მიმართულებით. მისი თქმით სკოლამ ექსპერტებს ასევე, წარუდგინა მოსწავლეების ნამუშევრები ხელოვნებაში. ექსპერტის განმარტებით, სკოლას კეთილმოწყობილი ჰქონდა ხელოვნების ოთახები. ლელა ფიცხელაურმა აქვე დაამატა, რომ ხელოვნების სწავლება სკოლაში წარმოადგენდა ერთ-ერთ პრიორიტეტს.

სკოლის წარმომადგენელმა, მაია ტაკიძემ განმარტა, რომ სკოლას დაწყებული ჰქონდა სამედიცინო კაბინეტის მოწყობა. მისი თქმით, აღნიშნული კაბინეტისათვის შერჩეული ჰქონდათ ვრცელი ფართი სკოლის პირველ სართულზე. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილი იყო ყველა იმ საჭირო ინვენტარით, რაც გათვალისწინებული იყო კანონმდებლობით.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, თუ რა მონაცემებს აგროვებდნენ სკოლაში არსებული კათედრების ხელმძღვანელები და კონკრეტულად რას უწევდა მონიტორინგს სკოლის ადმინისტრაცია. სკოლის წარმომადგენელმა, მაია ტაკიძემ განაცხადა, რომ კათედრები აწარმოებდნენ მონიტორინგს ახალი სახელმძღვანელოების სწავლებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, კათედრებმა მეხუთე კლასის მშობლებთან განახორციელეს ისეთი შეფასება, რომელმაც დაადგინა მოსწავლეების მშობლების განწყობა უნიშნო სწავლებასთან დაკავშირებით პირველ სემესტრში. მაია ტაკიძის თქმით, კათედრის ხელმძღვანელები მონიტორინგს უწევდნენ მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. მან აქვე დაამატა, რომ კათედრების ხელმძღვანელების მონიტორინგს ახორციელებდა სკოლის ადმინისტრაცია.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეკონკრეტებინათ, თუ რა აქტივობებს თავაზობდა სკოლა მოსწავლეების მშობლებს, რათა ისინი აქტიურად ჩართულიყვნენ სასკოლო ცხოვრებაში. დასმული შეკითხვის საპასუხოდ ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განმარტა, რომ ისეთი აქტივობა, რომელიც ითვალისწინებდა მშობლების მიერ მოსწავლეებისათვის პროფესიული გამოცდილების გაზიარებას, ხელს შეუწყობდა მშობლების აქტიურ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. ასევე, ექსპერტის თქმით, მშობლებს შეეძლოთ ყოფილიყვნენ გარკვეული ღონისძიებისა თუ აქტივობის ინიციატორები, რაც მათ უფრო მეტ ჩართულობას განაპირობებდა სასკოლო ცხოვრებაში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 460 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა-ნიკეს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 460-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სკოლა-ნიკეს (ს/კ: 245563000) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 460-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. შპს ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ჯაშმა და იზაბელა იოსელიანმა. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 19 და 20 აპრილს, დისტანციურ ფორმატში. ექსპერტმა სკოლის ძლიერ მხარედ მისი შენობა დაასახელა, რომლის ნულოვან სართულზეც ფუნქციონირებდა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა მუზეუმი. გარდა ამისა, ლელა ჯაშის თქმით, სკოლა ახორციელებდა საქველმოქმედო საქმიანობას საკვირაო სკოლის ფარგლებში, რომელიც სხვა სკოლის მოსწავლეებს აძლევდა შესაძლებლობას უფასოდ ესარგებლათ სკოლის წრეობრივი საგანმანათლებლო პროგრამებით.

ლელა ჯაშის თქმით, სკოლაში წლიური გამოცდები განსხვავებული ფორმატით ტარდებოდა. კერძოდ, დისკუსიის, პრეზენტაციის, ზეპირი დავალებებისა და სხვ. სახით, რაც ექსპერტების მხრიდან დადებითად შეფასდა.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლაში ასწავლიდა 23 პედაგოგი, მათგან 13 იყო უფროსი პედაგოგის სტატუსის მქონე, 4 წამყვანი, 3 მაძიებელი, 2 მოწვეული სტატუსის მქონე, ხოლო 1 შემცვლელი მასწავლებელი.

ლელა ჯაშმა განაცხადა, რომ სკოლაში ინტენსიურად მიმდინარეობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ექსპერტის თქმით, სკოლაში იყო თანამშრომლობითი გარემო. ლელა ჯაშმა დაამატა, რომ სკოლამ ექსპერტების მხრიდან გაცემული ყველა რეკომენდაცია გაითვალისწინა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, თუ რა პრინციპებით ხდებოდა სხვა სკოლების მოსწავლეების კონტიგენტის შერჩევა, რომლებიც ბესიკ ნიპარიშვილის-მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში უფასოდ ისარგებლებდნენ სკოლის მიერ შემოთავაზებული წრეობრივი მომსახურეობებით. დასმული კითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, რუსუდან ნიპარიშვილმა განმარტა, რომ შერჩევის კონკრეტული პრინციპი სკოლას არ ჰქონდა. ნებისმიერი მოსწავლეს, რომელიც შემოთავაზებულ მომსახურებაზე დარეგისტრირდებოდა, სკოლა მიიღებდა და გაუწევდა შესაბამის მომსახურეობას.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, თუ რამდენად ასრულებდა სკოლაში არსებული მუზეუმი სასწავლო ფუნქციებს და იყო თუ არა აღნიშნული ასახული სასკოლო კურიკულუმში. დასმული კითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ნინო ნიპარიშვილმა განმარტა, რომ მუზეუმი ითავსებდა სასწავლო, საგაკვეთილო ფუნქციებს. მუზეუმში აქტიურად ტარდებოდა, როგორც სამოქალაქო განათლების, ასევე, ისტორიის გაკვეთილები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 280 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიანი სკოლა-გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 280-ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს N46 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 9 აგვისტოდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 9 აგვისტოს.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები
მომხრე-11
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ბესიკ ნიპარიშვილი-მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიას (ს/კ: 232539269) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 280-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 9 აგვისტო. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს სხდომას 16:05 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი.

3. შპს ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და ნინო გვარამაძემ. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობდა ექსპერტებთან და საჭირო დოკუმენტაციას დროულად აწვდიდა მათ. ექსპერტის თქმით, დაწესებულება გაერთიანებული იყო მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის დანერგვისა და განვითარების ჯგუფში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა ხელს უწყობდა სკოლის ადამიანურ რესურსს კვალიფიკაციის ამაღლებაში. ლელა ფიცხელაურის თქმით,

დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა იყო სასკოლო საზოგადოების ურთიერთანამშრომლობის მაღალი მაჩვენებელი და მმართველი გუნდის აქტიური ჩართულობა სიახლეების დანერგვის პროცესში. მან დაამატა, რომ სკოლას შესრულებული ჰქონდა წინა მონიტორინგის პროცესში გაცემული რეკომენდაციები. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 460 მოსწავლეზე, თუმცა ვიზიტის დროს ინვენტარისა და სასკოლო სივრცის დათვალიერებისას გამოჩნდა, რომ სკოლას შეეძლო 320 მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება.
ლელა ფიცხელაურმა აგრეთვე ისაუბრა ექსპერტთა მხრიდან სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით გაცემულ რეკომენდაციებზე. მისი თქმით, დაწესებულებაში ექიმის კაბინეტი განთავსებული იყო მეორე სართულზე ბუნებრივი განათების გარეშე. ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნული საკითხი სკოლამ გამოასწორა და შესაბამისი ფოტო-მასალა წარმოადგინა დასკვნის პროექტზე არგუმენტირებული პოზიციის სახით. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სპორტულ დარბაზში ფანჯრებზე დამცავი ბადეები არ იყო გაკეთებული და დაწესებულებამ მოცემული საკითხიც გამოასწორა. ლელა ფიცხელაურის თქმით, სკოლას რჩევა მიეცა დეტალურად გაწერილიყო შინაგანაწესში წახალისების ფორმა და ინდიკატორი. სკოლამ აღნიშნული საკითხიც გაითვალისწინა და მტკიცებულების სახით წარმოადგინა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ იყო გამწოვი კარადა. მისი თქმით, დაწესებულებას აღნიშნული საკითხი გაწერილი ჰქონდა სტრატეგიული განვითარების გეგმაში. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა მოსწავლეთა და მშობელთა ინფორმირების წესზე. მისი თქმით, დაწესებულება „სქულბუქის“ საშუალებით ყოველდღე აწვდიდა სხვადასხვა სახის ინფორმაციას მშობლებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ყურადღება გაამახვილა თუ რამდენი დირექტორი ჰყავდა სკოლას და რა იყო თითოეული მათგანის მოვალეობა.
ექსპერტ, ლელა ფიცხელაურის განმარტებით სკოლას ჰყავდა 4 დირექტორი და თითოეული სარგებლობდა თანაბარი უფლებით, თუმცა მათ სტრუქტურულად განაწილებული ჰქონდათ მართვის სფეროები.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა იკითხა, თუ რამდენად მიიღწეოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგები იმ საგნებში, სადაც განახევრებული იყო საათობრივი დატვირთვა.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლაში მასწავლებლები სხვადასხვა სახის კლასგარეშე აქტივობებს ატარებდნენ და მოსწავლეთა შედეგებიდან გამომდინარე სამიზნე ცნებები იფარებოდა. აქვე, დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში მშობლები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას და მათი მოთხოვნიდან გამომდინარე საგნების გარკვეულ ნაწილში გაზრდილი იყო საათობრივი ბადე.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა სკოლაში მშობელთა მოთხოვნების გათვალისწინება.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლა წლის განმავლობაში რამდენჯერმე აგზავნიდა კითხვარებს მშობლებთან სერვისის კმაყოფილებასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, თუ რომელ საათობრივ მოდელს იყენებდა დაწესებულება.
ექსპერტ, ლელა ფიცხელაურის განმარტებით, სკოლა იყენებდა საათობრივი ბადის მესამე მოდელს.
საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ იკითხა, თუ რამდენად სწორი მიდგომა იყო თითოეული აქტივობის დაგეგმვის მშობლებთან შეთანხმება. მისი თქმით, თითოეული აქტივობა უნდა დაგეგმილიყო პირველ რიგში სკოლის მისიიდან გამომდინარე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სკოლის მისიისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებაში მშობლები აქტიურად იყვნენ ჩართულები. საათობრივ ბადესთან დაკავშირებით მათ გაითვალისწინეს გარკვეულ საგნებში საათობრივი დატვირთვის გაზრდა. აქვე, სკოლის წარმომადგენელმა დაამატა, რომ ისინი ყოველთვის არ ითვალისწინებდნენ მშობელთა აზრს.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა აქტივობებს ახორციელებდა სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ისინი არაფორმალური განათლების კუთხით უამრავ აქტივობას ახორციელებდნენ. საკლასო სივრცეში ეწყობოდა კონფერენციები და სასკოლო პროექტები. კლასის ხელმძღვანელები სასკოლო და კლასგარეშე აქტივობებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ იკითხა თუ რა ლიტერატურით სარგებლობდნენ მასწავლებლები ცხოვრების ჯანსაღი წესით სწავლების პროცესში.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, ცხოვრების ჯანსაღი წესის სწავლება ძირითადად დატვირთული იყო სხვადასხვა აქტივობით. მისი თქმით, რესურსებს იძიებდნენ კლასის ხელმძღვანელები და შემდგომ უზიარებდნენ მოსწავლეებს, კონკრეტული წიგნით არ ასწავლიდნენ აღნიშნულ საკითხს. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებს თემატურ გეგმებსა და სასკოლო სასწავლო რესურსებში ჰქონდათ გადანაწილებული საკითხების მიხედვით.

ექსპერტ, ლელა ფიცხელაურის თქმით, სკოლის თვითმართველობას განხორციელებული ჰქონდა პროექტი ანტინარკოტიკული კვირეული, რომელშიც მოსწავლეებს წარმოდგენილი ჰქონდათ პრეზენტაციები. აქვე, ლელა ფიცხელაურმა დაამატა, რომ სკოლამ მიმდინარე წელს მხიარული სტარტებიც ჩაატარა.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა იკითხა, თუ როგორ ხდებოდა დამრიგებლების პროფესიული საჭიროების განსაზღვრა.

სკოლის დირექტორის თქმით, დაწესებულების ადმინისტრაცია კითხვარების საშუალებით იგებდა მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებლების პროფესიული განვითარების საჭიროებებს. აქვე, ნინო ქადაგიძემ დაამატა, რომ დირექტორები კლასის საათსა და საგაკვეთილო პროცესსაც უწევდნენ მონიტორინგს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები დაწესებულებასთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 320 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 24 აგვისტოს N61 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 24 აგვისტოდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 24 აგვისტოდან.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარს (ს/კ: 209471258) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 24 აგვისტო. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სი-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მაკა ტუკვაძემ და გულნარა ხაბურზანიამ. ექსპერტ, მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 11, 12 და 13 აპრილს. სკოლა მდებარეობდა ორ მისამართზე, ქ. თბილისსა და ქ. ზუგდიდში. მაკა ტუკვაძის განმარტებით ქ. თბილისში ვიზიტი განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურ ფორმატში, ხოლო ქ. ზუგდიდში სრულად დისტანციურ ფორმატში. ექსპერტის თქმით, სკოლის ძლიერი მხარე უცხოური ენების სწავლება იყო, ამ მიზნით სკოლაში ინერგებოდა გერმანული ენის სადიპლომო პროგრამა DSD1 და DSD2. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებაში აქტიურად ისწავლებოდა TOEFEL-ის სასწავლო პროგრამა. მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლაში მე-7-დან მე-9 კლასის ჩათვლით რუსული ენა სავალდებულო იყო, ხოლო მე-10-დან მე-12 კლასის ჩათვლით არჩევით საგნად ისწავლებოდა. ექსპერტის თქმით, სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა გერმანელი მოხალისე მასწავლებლების ჩართვა სასწავლო პროცესში და მჭიდრო კავშირი უცხოური ენების აკადემიასთან, რომლის ფარგლებში გერმანული ენის პედაგოგები ზრუნავდნენ პროფესიულ განვითარებაზე. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის ძლიერი მხარე იყო სასკოლო სემინარების შეთავაზება მოსწავლეთათვის, რომელიც იგეგმებოდა წლის ბოლოს, აკადემიური მიღწევებიდან გამომდინარე. სემინარების დაგეგმვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ქ. თბილისისა და ქ. ზუგდიდის მასწავლებლები. ექსპერტის განმარტებით, სემინარები წელიწადში ორჯერ ტარდებოდა, ზამთრის პერიოდში ქ. თბილისში, ხოლო ზაფხულის პერიოდში ქობულეთში. მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლა

ქობულეთში არსებულ კერძო საკუთრებას აქტიურად იყენებდა სემინარებისთვის და ბანაკებისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები დადებითად იყვნენ განწყობილი სკოლაში განხორციელებული ყველა აქტივობის მიმართ. მაკა ტუკვაძის განმარტებით, სკოლის ძლიერი მხარე იყო სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები მოსწავლეებისთვის მე-9-დან მე-11 კლასის ჩათვლით. მისი თქმით, ქ. თბილისში პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები ტარდებოდა ფსიქოლოგის დახმარებით, ხოლო ქ. ზუგდიდში რეგიონალური სასწავლო ხელმძღვანელის ჩართულობით. ექსპერტის განცხადებით, მოსწავლეები დადებითად იყვნენ განწყობილნი ამ კურსის მიმართ, რადგან ეს გაკვეთილები მათ ეხმარებოდათ სამომავლო პროფესიის განსაზღვრაში. მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ტექნიკური ხარვეზი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილში. კერძოდ, ექსპერტებმა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებით გასცეს რეკომენდაციები, რადგან სკოლას გამორჩენილი ჰქონდა ჩანაწერებში ენობრივი ბარიერის მქონე სირთულით გამოწვეული სწავლების განმარტება. ექსპერტ, მაკა ტუკვაძის თქმით, სკოლაში 5 უცხოენოვანი მოსწავლე იყო, რომელთაც შეთავაზებული ჰქონდათ ქართული ენის წრეც. ყველა მოსწავლისთვის შემუშავებული იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი უცხოენოვანი მოსწავლე ბარიერის გარეშე საუბრობდა ქართულად და მიმდინარე წელს აპირებდა ქართულ ენაზე ჩაებარებინა ერთიანი ეროვნული გამოცდები.

მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით სკოლას, ვიზიტის დროს, უსაფრთხოების ზომების მიღებასთან მიმართებით მიეცა რეკომენდაციები. კერძოდ, სპორტულ დარბაზში განთავსებული იყო ლიფტის შახტის კორპუსი, რომელიც სათანადოდ არ იყო დაცული. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა აღნიშნული საკითხი და რკინის მესერით შემოსაზღვრა ლიფტის შახტის კორპუსი. მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ სამედიცინო კაბინეტი განთავსებული იყო მესამე სართულზე, ექსპერტთა გაცემული რეკომენდაცია გაითვალისწინა სკოლამ და ჩამოიტანეს პირველ სართულზე. ზუგდიდის ოფისში ონლაინ ვიზიტის დროს აღმოჩნდა, რომ სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლო და საბუნებისმეტყველო კაბინეტი განთავსებული იყო ერთ სივრცეში. სკოლამ აღნიშნულიც გაითვალისწინა და სამედიცინო ოთახი მოაწყო ცალკე სივრცეში, რომელიც აღჭურვილი იყო ბრძანებით გათვალისწინებული შესაბამისი ინვენტარით. ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ, აღნიშნა, რომ სკოლა იაზრებდა თავის სუსტ მხარეს შენობასთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, სკოლას არსებული შენობა იჯარით ჰქონდა აღებული. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სკოლის ახალი პროექტი. სკოლის დამფუძნებლები და მშობლები ერთობლივად ცდილობდნენ მოეძებნათ პარტნიორი, რომელიც დაეხმარებოდათ აღნიშნულის განხორციელებაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის სამომავლო გეგმაში შედიოდა საბავშვო ბაღის აშენებაც.

მაკა ტუკვაძემ ისაუბრა ადამიანურ რესურსზე და განმარტა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებაში 52 პედაგოგი იყო. კერძოდ, ქ. თბილისში 31, ხოლო ქ. ზუგდიდში 21. მათგან უფროსი სტატუსის მქონე იყო 24 მასწავლებელი, რომელთაგან ქ. თბილისში იყო 17, ქ. ზუგდიდში კი 7, წამყვანი სტატუსის მქონე იყო 14 მასწავლებელი, აქედან ქ. ზუგდიდში იყო 9 პედაგოგი, ხოლო ქ. თბილისში - 5. სკოლაში ასწავლიდა 1 მენტორი სტატუსის მქონე პედაგოგი. ვიზიტის დროს 12 მასწავლებელი უსტატუსო იყო, აქედან 2 იყო ჭადრაკის პედაგოგი, რომელთაც, ექსპერტის თქმით, ვერ ექნებოდა მინიჭებული სტატუსი. მაკა ტუკვაძემ აღნიშნა, რომ 5 პედაგოგი დარეგისტრირებული იყო მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე. ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლა თანამშრომლობდა ექსპერტებთან, მყისიერად აწვდიდა ექსპერტთა ჯგუფს ყველა საჭირო დოკუმენტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტ, მაკა ტუკვაძეს, თუ როგორ და რა მეთოდებით უტარებდა სკოლა პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილებს მოსწავლეებს.
ექსპერტმა, მაკა ტუკვაძემ უპასუხა, რომ სკოლას საგანმანათლებლო ბადეში ჰქონდა გაწერილი პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა იკითხა, თუ რა პროგრამით და რომელ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით ჩამოჰყავდა სკოლას უცხოელი პედაგოგები. აქვე ის დაინტერესდა, უშუალოდ სკოლა თუ თანამშრომლობდა რეგიონში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
სკოლის წარმომადგენელმა, მარინე დეკანოიძემ განაცხადა, რომ პროფესიული ორიენტაციის გაკვეთილები მე-9 კლასის მოსწავლეებს ჰქონდათ 8 აკადემიური საათის სახით, ხოლო მე-11 კლასიდან 4 აკადემიური საათი. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლა პარტნიორობდა UNESCO-ს მხარდაჭერით მოხალისე ქვეყნებთან.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინათ შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 300 მოსწავლისთვის. აქედან 230 ადგილი ქ. თბილისში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, ხოლო 70 ადგილი კი ქ. ზუგდიდში, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სი-ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს N49 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 9 აგვისტოდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 9 აგვისტოს.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგი
მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად შპს საქართველოს სასწავლო ცენტრ ჯი-ელ-სი-ს (ს/კ: 204872174) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით (230 ადგილი ქ. თბილისში დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, ხოლო 70 ადგილი კი ქ.

ზუგდიდში, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 9 აგვისტო. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 16:45 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა